აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 101-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№8 (24.888) შაბათი, 29 - 31 იანვარი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, შიდამთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

38 ათასი ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა

აჭარის მთავრობის სხდომა

გუშინ გამართულ აჭარის მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ 2022 წელს დაგეგმილ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა. თავდაპირველად, თორნიკე რიჟვაძემ ციტრუსის სეზონი წარმატებულად შეაფასა და აღნიშნა, რომ იგი გამორჩეული იყო, რაც თითოეულ მეციტრუსე ფერმერზე დადებითად აისახა. შარშანდელთან შედარებით გაზრდილია როგორც ექსპორტი, ასევე არასტანდარტული ციტრუსის რეალიზაცია

„აჭარის რეგიონში ციტრუსის სეზონი საკმაოდ წარმატებული იყო, ამას მოწმობს ის განწყობები, რასაც ჩვენ ვხედავთ მოქალაქეებში... დღეის მდგომარეობით, 38 ათასი ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა. მიმდინარე სეზონზე მუშაობდა 30-მდე ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო. რაც შეეხება არასტანდარტულ ნაყოფს, მიღებული და გადამუშავებულია 10245 ტონა. ჩვენ გავაგრძელებთ როგორც ამ კონკრეტული დარგის ხელშეწყობას, ასევე ძალიან მალე დაიწყება ხვნა-თესვის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში," - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარის თქმით, წელს დასრულდება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სოციალური პროექტის - „ოცნების სახლის" პირველი ეტაპი და 582 ოჯახი წელსვე მიიღებს შესაბამის საცხოვრისს. უკვე მიმდინარეობს მეორე ეტაპისთვის საჭირო პროცედურები.

დასრულდა სოციალური სახლის მშენებლობა ქედაში და რამდენიმე დღეში 20 ოჯახი უსაფრთხო გარემოში გააგრძელებს ცხოვრებას

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით: „ქობულეთში ექსპლუატაციაში შედის მყარი ნარჩენების მართვის ობიექტი, რაც, ერთი მხრივ, ნიშნავს გაუმჯობესებულ გარემო პირობებს, მეორე მხრივ, დაიწყება ბათუმში, გარემოსთან შეუსაბამო ნაგავსაყრელის დახურვისთვის საჭირო პროცედურები".

„წელს 22 მლნ ევროს ათვისებაა დაგეგმილი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარების კუთხით აჭარის 5 მუნიციპალიტეტში. ეს ნიშნავს წყალმომარაგების სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას თითოეული ოჯახისთვის," - განაცხადა სხდომაზე თორნიკე რიჟვაძემ.

წელსვე კურორტ გოდერძიზე დასრულდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწყობა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, ბათუმს შეემატება ახალი სპორტული კომპლექსი. სადაც განთავსდება სპორტის 12 სახეობა და ჩვენი სპორტსმენები გააგრძელებენ თანამედროვე პირობებში წვრთნას და მომზადებას. თორნიკე რიჟვაძის თქმით, წელსვე დასრულდება ჩაქვის ძალოსნობის ბაზის მშენებლობა და შუახევის სტადიონის რეკონსტრუქცია.

„სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა გრძელდება, დაგეგმილია როგორც სარაგბო ბაზების, ასევე შესაბამისი სპორტული დარბაზების მშენებლობა ქობულეთში, ბათუმში, ღორჯომში, ხუცუბანსა და ფურტიოში," - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისის განვითარება 2022 წლის მთავარი პრიორიტეტია. ამ მხრივ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მასშტაბური პროექტები.

„ისპანის ტორფნარზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა იწყება. ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. იწყება ხიხანის ციხეზე მისასვლელი ტურისტული ბილიკის მშენებლობა და გრძელდება ხიხანის ციხის აღდგენა-რეაბილიტაცია. პანდემიის მიუხედავად, ორ წელიწადში აჭარას 100-ზე მეტი ტურისტული ობიექტი დაემატა. ყველა მუნიციპალიტეტში გაიხსნა ახალი სასტუმროები, კოტეჯები, გლემფინგები, კვების ობიექტები. სრულდება მაჭახლის ეთნოსოფლის მშენებლობა, დასრულდება კავიანის ეკლობილიკის მოწყობა," - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ელენე საყვარელიძე

კრიალოსა N იუსი

„ჰოლოკოსტთან დაკავშირებული ცნობიერება ყოველთვის და ყველა თაობაში უნდა შენარჩუნდეს, ვინაიდან ის ბოროტება, რომე-

ლმაც მე-20 საუკუნეში მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, არათუ არ განმეორდეს, არამედ იყოს მუდმივად გააზრების და გარკვევის პროცესში", - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა პარლამენტში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. მან ქართველ და ებრაელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და ჰოლოკოსტის, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენის შესახებ ისაუბრა.

* * *

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი საქართველოში ევროკავშირის ელჩის მრჩეველ ჟულიენ კრამპს და ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების პროგრამის მრჩეველ ანე ბირგიტე ჰენსენს შეხვდა. ოხანაშვილმა სტუმრებს გააცნო ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია მომდევნო წლებში და განსაკუთრებით, 2022 წელს.

* * *

საქართველოსა და ფინეთის რესპუბლიკების საგარეო უწყებებს შორის გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები. მხარეებმა ვრცლად მიმოიხილეს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხები, ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები, ევროკავშირთან, ნატოსთან, რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები, ხაზი გაუსვეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობას.

* * *

„ქართული ოცნების" მიერ ინიცირებულ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს. როგორც „სტრატეგია აღმაშენებლის" წევრმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა, „ქართულმა ოცნებამ" რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი. „თუ რუსეთს სიმხდალე ვანახეთ ამ საკითხებში, ხვალ უფრო მეტს გაგვიბედავს და გააკეთებს. ამიტომ აუცილებელია, „ქართული ოცნება" დაუბრუნდეს საღი აზრის ლოგიკას", - აღნიშნა მან.

კიდევ ერთი სამედიცინო ობიექტი - ხულოში

2

ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

5

რამაზ საყვარელიძე: ჩინეთი ახდენს რუსეთის არაოფიციალურ ანექსიას

3

მისი წარმატების საიდუმლო მარტივიცაა და რთულიც

7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბავშვზე ორიენტირებული ქალაქები

„ბავშვზე მორგებული ქალაქები“ UNICEF-ის პროექტია, რომელიც 1996 წლიდან დაიწყო და მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციის ფარგლებში, ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებით. ბათუმი მეორე წელია, რაც ამ პროექტში ჩაერთო. 2020 წლის 3 დეკემბერს ქალაქის მერიასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი „ბავშვზე მორგებული ქალაქების“ ინიციატივაში (CFCI) მონაწილეობის თაობაზე. ინიციატივა, იმავდროულად, წარმოადგენს ქსელს, რომელიც აერთიანებს მთავრობებს და სხვა პარტნიორებს, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კერძო თუ სამეცნიერო სექტორს, მედიას, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თავად ბავშვებს, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდეს ბავშვებზე მორგებული გარემო. ინიციატივა ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლებებს, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ყველაზე პატარა და ახალგაზრდა მოქალაქეების უფლებების დაცვას. „ბავშვზე მორგებული ქალაქების“ პროექტში 40-ზე მეტი ქვეყნის 3 000 ქალაქია ჩართული.

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში დასან ხალილს შეხვდა.

მემორანდუმით, ბათუმის მერიას აღებული აქვს ვალდებულება, ქალაქის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს ბავშვებსა და მათ ირგვლივ არსებულ საკითხებს.

როგორც შეხვედრაზე არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა: „ბათუმის მერია ბავშვების კეთილდღეობის გაძლიერების მიმართულებით არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს, თუმცა არსებობს გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს რეაგირებას. „ბავშვზე მორგებული ქალაქების“ ინიციატივა იძლევა სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების საშუალებას, რათა ბათუმი გახდეს ბავშვებზე კიდევ უფრო მეტად მორგებული ქალაქი. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ყველაზე პატარა და ახალგაზრდა მოქალაქეებს, ამისათვის მერიაში შექმნილია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის UNICEF-ის ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივაზე მიერთების“ სამუშაო ჯგუფი“.

ბათუმის მერმა მადლობა გადაუხადა ბატონ დასან ხალილს იმ დამსახურებისთვის, რომელიც მას ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით მიუძღვის.

კიდევ ერთი სამედიცინო ობიექტი - ხულოში

ციტნე ცაბაძე 27 48 93

ხულო საქართველოს მთიან მუნიციპალიტეტებს შორის ისევ ის რეგიონია, სადაც შობადობა სიკვდილიანობის მაჩვენებელს აღემატება. ქვეყნის, რეგიონის ხელისუფლების ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ უძველეს, ისტორიულ სოფლებს დაშლა-დაცარიელების საშიშროება არ დაემუქროს. ამას ის პროგრამები და პროექტები ცხადყოფს, რაც ბოლო წლებში ხულოს ტერიტორიაზე ხორციელდება. საამაყოდ მარტო ხულო-გოდერძი-ზარზმის საავტომობილო მაგისტრალის საერთაშორისო დონეზე რეკონსტრუქციაც კმარა

2013 წლიდან მოყოლებული, სახე შეიცვალა სამთო-სათხილამურო კურორტმა გოდერძმა. ის მშენებლობები, რომელიც საკურორტო დაბაში მიმდინარეობს, ნებისმიერ ქვეყანას და განსაკუთრებით, ხულოს სადარ რეგიონს წარმატებულ მომავალს უქადის.

გამორჩეული ყურადღება ექცევა განათლების, კულტურის სფეროს, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, პროფესიონალი კადრების ადგილზე დასაქმებას.

ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში - პირველადი ჯანდაცვის ობიექტები, სოფლებში - თემის სამედიცინო პუნქტები მოქმედებს. ჯანდაცვის სისტემის მუშაკთა პროფესიულ და გააზრებულ მუშაობას მიეწერება ის დადებითი სტატისტიკა, რაც ხულოში კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებშია. მედიცინის მუშაკები წლევანდელი უხვთოვლიანი და ცივი ზამთრის პირობებში ოჯახებში კარდაკარის პრინციპით მიდიან და პაციენტებს სამედიცინო დახმარებას ადგილზე უწევენ. მძიმე ავადმყოფები სოფლებიდან დროულად გადმოჰყავთ და ბათუმისა და ქვეყნის წამყვან კლინიკებში მკურნალობის კურსს გადიან. აჭარის მთავრობა ხულოელებს სამედიცინო აპარატურით, მაღალი გამავლობის მანქანებით უზრუნველყოფს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მოქმედებს სხალთის ხეობაშიც.

სამწუხაროდ, დაბა ხულოში არსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალური ბაზა მინიმუმამდეც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ამ ობიექტებს მოეთხოვება. აჭარის მთავრობის თანადგომით, დაბა ხულოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის აგება დღის წესრიგში დადგა.

- ობიექტის ღირებულება 289,4 ათასი ლარია, კონკურსი უკვე გამოვაცხადეთ. გამარჯვებულმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში და ხარისხიანად უნდა დაასრულოს. შენობა წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ.

მთაში ისევ თოვს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის მთიანეთის სოფლებში ისევ თოვს. ხანგრძლივმა ნალექებმა, უხვთოვლობამ ეროვნული მეურნეობის ცალკეული სფეროების საქმიანობა მნიშვნელოვნად შეაფერხა. ერთ თვეზე მეტია, უქმადაა გაჩერებული «ზიმო 7»-ის ტექნიკა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის მონაკვეთზე. სამუშაოთა მწარმოებელი და მექანიზატორები პირობას იძლეოდნენ, რომ ჩანჩხალოს კლდოვანი მასის მონგრევის სამუშაოებს იანვრის ბოლომდე დაასრულებდნენ. სინოპტიკოსები თებერვალშიც ჭირვეულ ამინდებს ვარაუდობენ. ალბათ მშენებლები მარტში დაასრულებენ სამუშაოებს. შეჩერებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხულო-გოდერძი-ზარზმის ავტომაგისტრალზე.

ცივი ამინდები, ყინვები ხელს უშლის იმ კომპანიებს, რომლებიც დაბა შუახევის, განახლების, ბეღლეთის საჯარო სკოლების კეთილმოწყობის სამუშაოებს ასრულებენ.

თოვა, თანაც ისეთი, როგორიც წელსაა, ნგრევის, ზარალის, მეწყრული პროცესების გააქტიურების გარეშე რომ არ ჩაივლის, ცხადია. გარკვეული ზარალი უკვე სახეზეა. სოფელ ნიგაზეულში საზოგადოებრივი სარგებლობის შენობის სახურავი ჩაიქცა. ქედის, შუახევის, ხულოს სოფლებში თოვლმა მრავალწლიანი ნარგავები დაგლიჯა, დაზიანა ვაზი, დამრეც ტერიტორიებზე კი ფესვებიანად მოთხარა.

მონტიორები, წყალმომარაგების სისტემის მუშები დაზიანებული ელექტრომეურნეობის, წყალსადენების მონაკვეთების აღდგენას ვეღარ აუდიან.

დღისით თოვლისგან გაწმენდილ საავტომობილო გზებს ღამით მოსული თოვლი ისევ ფარავს. ერთ კვირაზე მეტია, რამდენიმე ერთეული ტექნიკა ხიჭაური-ნაღვარევის საავტომობილო გზის თოვლისგან გაწმენდის სამუშაოებს ასრულებს. რიგ მონაკვეთებზე ზვავი ჩამოდის. ჟანივრი-ნაღვარევის მონაკვეთზე მექანიზატორები 2,5 მეტრი სიმაღლის «თოვლის გვირაბებს» ჭრიან.

უხვთოვლობას, საბედნიეროდ, დამანგრეველი ზვავები და ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია.

„უსაფრთხო გზა - სკოლამდე“

ბათუმის მერიასა და GIZ-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ბათუმში ველოსიპედით გადაადგილების გენერალური გეგმის „ფეხით გადაადგილების“ კონცეფციის - „უსაფრთხო გზა სკოლამდე“ სახელმძღვანელოს მომზადებასა და საპარკინგე პოტენციალის კვლევაზე მუშაობა გრძელდება.

პროექტი ხორციელდება რეგიონულ პროგრამასთან „მდგრადი ურბანული მობილობა სამხრეთ კავკასიაში“ (Mobility4Cities) თანამშრომლობით, რომელიც გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურმა სამინისტრომ (BMZ) დააფინანსა.

გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია ველომოყვარულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებები. ამ დროისათვის მომზადებულია გეგმის სამუშაო ვერსია. ბათუმში ველოსიპედით გადაადგილების გენერალური გეგმის შემუშავება მიმდინარეობს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

როგორც არჩილ ჩიქოვანმა მათთან შეხვედრაზე აღნიშნა, გენერალური გეგმა უზრუნველყოფს ველოსიპედის, როგორც ურბანული ტრანსპორტის სახეობად დანერგვასა და მის ინტეგრაციას საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში.

ანკა ჩხიკვაძე

შეხვედრა ექსპერტებთან

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან მირიან ქათამაძესთან ერთად, „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის“ პროექტის ფარგლებში ეკონომიკის ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრას „აგროსერვისცენტრის“ დირექტორი გოჩა ბერიძე, ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი და ხილის გადამამუშავებელი საწარმოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე, ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის შექმნასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ანკა ჩხიკვაძე

რამაზ საყვარელიძე: ჩინეთი ახდენს რუსეთის არაოფიციალურ ანექსიას

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ რუსეთს ყველაზე ნაკლებად სურს უკრაინასთან ომის დაწყება. იგი იარაღის ჟღარუნით მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას და მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას ითხოვს, სადაც ჰეგემონის როლი სწორედ მას დაეკისრება.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კონვენციური ომი მაინც დაიწყება და საქართველოს ასე თუ ისე, მოუწევს ამაში ჩართვა, მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ მთელი ეს სპექტაკლი მსხვილ მოთამაშეებს, იგივე აშშ-ს და რუსეთს იმ პრობლემების გადასაჭრელად სჭირდებათ, ამ ხნის განმავლობაში რომ დაგროვდა მსოფლიოში და ყველა ჯერზე კონფლიქტებს იწვევს პლანეტის სხვადასხვა რეგიონში.

ამ თემაზე გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ***რამაზ საყვარელიძესთან****, რომელიც საგარეოს გარდა, საშინაო პოლიტიკასაც განიხილავს და საინტერესო დასკვნებს აკეთებს.*

- ბატონო რამაზ, დაიწყებს თუ არა ომს რუსეთი?

- ბევრი მსჯელობს ამ თემაზე, პოზიციებიც სხვადასხვა გახლავთ, მე ექსპერტთა იმ ნაწილს წარმოვადგენ, რომელიც ეჭვობს, რომ რუსეთი ომს დაიწყებს.

- ასე აცხადებენ, თუმცა ორივე ქვეყანა იარაღდება და საზღვრებთან თავმოყრილია საჯარისო ნაწილების შთამბეჭდავი რაოდენობა.

- ეს ასეა, მაგრამ ძირითადი მოტივი, რის გამოც რუსეთმა ომი უნდა დაიწყოს, არ არსებობს. ის ითხოვს ნატოში არ შევიდეს უკრაინა და საქართველო, ჰოდა არც შედიან, უფრო სწორად, არც შევყავართ არავის, ძალიანაც რომ გვინდოდეს. ცხადია, ამ კავშირში შესვლას სულ მცირე ორი ათეული წელი მაინც დააყოვნებენ. ნატო ხმამაღლა აცხადებს, ჯერ არ დამდგარა ამის დრო, დაიცადეთ, კიდევ არაერთი წელი უნდა გავიდეს, სანამ მიგიღებთო. აგერ, ახლა თქვა ბაიდენმა ამის შესახებ. ნატოს შეიარაღებული ძალების საზღვრებთან მიახლოვების საფრთხეც რუსეთს არ ემუქრება, ამით ვინ შეაშინებს, სხვა არანაირი საფრთხეც არ ჩანს რუსეთისთვის. ომის რა მიზეზი რჩება ჩრდილოელ იმპერატორს, პირადად ჩემთვის, გაუგებარია. ან დავუშვათ, დაიწყო ბრძოლები, შევიდა და დაიპყრო უკრაინა, შემდეგ რა უნდა ქნას, რად უნდა უკრაინის დაპყრობა, ამიტომ ხომ არ დაუშლია საბჭოთა კავშირი? მე რეალურ ომზე ვსაუბრობ, თორემ რატომ აჟღარუნებს იარაღს რუსეთი და რატომ აიარაღებს ნატო უკრაინას, ეს ყველას გვესმის.

- რატომ აიარაღებს ნატო უკრაინას, თუკი დათმობს პოზიციებს, მაშინ რა უნდა?

- ნატო არ აცხადებს, არ მივიღებ და პოზიციებს დავთმობო, ეს რომ თქვას, იმიჯი შეელახება მსოფლიო საზოგადოების თვალში. უბრალოდ, ამბობს, რა ვქნა, დღეს ვერაფრით მიგიღებთ, სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებთო. მეტი რით მიგვანიშნოს, თავს მიხედეთ, სხვა გზა ნახეთო.

- საქართველოსაც იგივეს ეუბნება?

- კი, საქართველოსაც, თუმცა უკრაინასთან შედარებით, რომლის ხელისუფლება ძირფესვიანად კორუმპირებულია, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. უკრაინაში, კორუფციის გარდა, რუსეთი გავლენის ქვეშ მოქცეული პოლიტიკოსები და ჩინოვნიკებიც ბლომადაა და ცხადია, ნატო ვერ დაუშვებს ასეთი სტრუქტურის კავშირში შეშვებას. მსგავსი მიზეზი ჩვენთან, პრინციპში, არ არის.

- თქვენ იმედი გაქვთ, რომ საქართველოს გზას გაუხსნიან დასავლეთისკენ?

- ვერ გაუხსნიან, რადგან თუკი საქართველოს საკითხს დადებითად გადაწყვეტენ, ეგრეევე დადგება უკრაინის საკითხი, ანუ ერთმანეთზე გადაბმული ორი თემაა.

- რუსეთი ითხოვს, ნატო დაბრუნდეს იმ საზღვრებში, რომელიც 1997 წელს ეკავა, კიდევ უფრო გაფართოებაზე საუბარი არცაა.

- შესაძლოა, ბევრი რამ მოითხოვოს რუსეთმა, მოთხოვნას წინ რა უდგას, მაგრამ საკითხავია, შეუსრულებენ თუ არა. რამდენადაც ახლა ვრცელდება ზოგადი ინფორმაცია, ფაქტია, რომ ნატო ისტორიას უკან არ დააბრუნებს, არ შეცვლის თავისი ცხოვრების წესს, რომელიც დია კარის პრინციპით ხორციელდება და არ უკარნახებს არავის, შევიდნენ თუ არა ნატოს სტრუქტურაში. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რუსეთის მთავარ მოთხოვნებს უარყოფითი პასუხი ექნება. მაგრამ ამავე დროს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკას რაღაც თავისი წინადადებების პაკეტი



აქვს, როგორ დააკმაყოფილოს რუსეთის უშიშროების სურვილი. იქ სხვადასხვა კრიტერიუმია დასახელებული - შეიარაღების, კონტროლის და ა.შ. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს დათმობები სწორედ იმ საკითხებში, სადაც მოლაპარაკებები შესაძლებელია, მაგალითად, ანტისარაკეტო სისტემების პროექტებში, რაც შეიძლება ჰქონდეს ნატოსა და ამერიკას, ეს არის მათი პროგრამა მინიმუმი, რომ ახალი მაინც აღარ გაკეთდეს. მე არ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც ღიად აპირებს უკრაინაზე შეტევას და შტურმს, იმიტომ, რომ რა უნდა მოიგოს, ჩემთვის გაუგებარია. მიზანი იყო, ალბათ, რომ ამერიკელები დაესვათ სავაჭროდ მაგიდასთან, თუმცა როცა ადგებიან ამ მაგიდიდან, საინტერესოა, რა შედეგს მივიღებთ ანუ რა სქემით გადანაწილდება მსოფლიო. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა ერთადერთი - ეს პროცესი ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

- პატიმარმა საკაშვილმა დადო პოსტი, რომ თუკი რუსეთი დაარტყამს უკრაინას, პარალელურ რეჟიმში შემოვა სამეგრელოშიც და დაიკავებს ფოთის პორტსო.

- ეს ინფორმაცია საიდან აქვს?

- როგორც თავად განაცხადა - სანდო წყაროსგანო.

- ჰოო, ის წყარო ციხეში ვერ შევიდოდა, ვინც მასთან პაემანზე დადის, სანდო წყაროდ ვერ ჩაითვლება. თავად ზელენსკი აცხადებს ხმამაღლა, რომ რუსეთი არ აპირებს ომის წამოწყებას, არ შეშინდეთო და ამით ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს საკუთარ ქვეყანაში, რათა ხალხი პანიკაში არ ჩავარდეს. არავის აწყობს ახლა პანიკა, რადგან ბევრი რამ ხდება ასეთ დროს, ეკონომიკურიც და სოციალურიც. ანუ ის ქვეყანა, რომელსაც ღია ომის აშკარა საფრთხე ემუქრება, ცდილობს, რომ ჩააწყნაროს საკუთარი მოქალაქეები. ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი კი ავრცელებს მსგავს „ფეიქს“ იმ დროს, როდესაც აქ არ შეინიშნება ომის არანაირი საფრთხე და არავინ ელოდება დარტყმას რუსეთისგან. როგორც ხედავთ, საზოგადოებისგან იზოლირებული ექსპრეზიდენტი, რომელიც თითქოს წუხს საკუთარი ხალხის ბედზე და ცდილობს ქვეყნის გაფრთხილებას მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, სინამდვილეში, ყველაფერს აკეთებს საქართველოში პანიკის, ქაოსის დასათესად და არეულობისთვის. ყველაზე საშინელი კი ის არის მთელ ამ ვითარებაში, რომ მას რიგითი მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილი კვერს უკრავს და ბელადად, გმირად აღიარებს.

- თუკი მართლა თავს დაგვესხმება რუსეთი?

- კარგით, იქნებ მართალია ის „სანდო წყარო“ და დავუშვათ, მართლაც შემოვიდა რუსის ჯარი, მაინც რა უნდა გააკეთოს საქართველომ? მე შენ გეტყვი, გზას გადაუღობავს, თოფს ესვრის, შეაკავებს თუ... გაუგებარია. ფოთის პორტს დაიკავებსო, რომ ამტკიცებს, ეს რომ სდომოდა, მანამდეც გააკეთებდა, ვინ დაუშლიდა? კაი, გვაფრთხილებს, ზრუნავს ჩვენზე, მაშინ ისიც გვითხრას, იმ პირობებში, ჩვენ რომ ახლა ვიმყოფებით, რას გვირჩევს, რა გზას დავადგეთ, ვის მივმართოთ? იქნებ გამოვუშვათ ციხიდან და გვიშველოს რამე? ალბათ ეს ჰქონდა ჩანაფიქრში. რას გაუგებ, ისე აზროვნებს, ვერ დაეწევი.

- არა, აცხადებს, რუსის ჯარი შემოვა, ჩვენ კი ვერ გავუწევთ წინააღმდეგობას და დავთმობთ სამეგრელოსაცო..

- გასაგებია, ამას მხოლოდ და მხოლოდ, წყლის ამღვრევისთვის ლაპარაკობს, რაც მოსალოდნელიც იყო. მას მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებს, რეიტინგი არ დაკარგოს მომხრეების თვალში, რაც შეიძლება გააღრმავოს დაძაბულობა შიდაპოლიტიკურ ელიტაში და ორპოლუსიანობა - მოსახლეობაში.

- „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე ხატია დეკანოიძე პარლამენტში დაბრუნების გადაწყვეტილებას ემხრობა და აცხადებს, რომ პარტია სრულად უნდა ჩაერთოს საპარლამენტო საქმიანობაში. ამ საკითხზე ჯერ პარტიას გადაწყვეტილება არ მიუღია, როგორ ფიქრობთ, რა გზას აირჩევს ოპოზიცია - ქუჩის აქციებს თუ საკანონმდებლო ორგანოში შესვლას?

- ის ნაწილი, რომელიც პარლამენტში შესვლას თხოვს, დარწმუნდა, რომ 2012 წლის შემდეგ ქუჩის აქციებს არანაირი ძალა არ გააჩნია, რადგან მომხრეების მცირე ნაწილიც კი ვერ მიიყვანა ამ მიზნით გამართულ მიტინგებზე. ოპოზიციის სხვა პარტიებსაც არ მოსწონთ ეს პოზიცია და საკანონმდებლო ორგანოში შესვლა ურჩევნიათ. იმათ კი, ვისაც აქამდე კიდევ საპროტესტო აქციებზე აქვთ გათვლა, გამოდის, რომ ამ ხნის განმავლობაში არაფერი უსწავლიათ და ისევ ისე დარჩებიან ტყუილ მოლოდინებში. რა შეცდომებსაც უშვებდნენ ადრე, იგივე შეცდომებს გაიმეორებენ მომავალშიც. ადამიანს შეცდომის დაშვების დიდი სურვილი თუ აქვს, ვერაფრით გაარჩერებ.

- ისევ გააქტიურდა გახარიას თემა. ბოლო კვირაში მისი პარტია საკმაოდ ბევრმა დამფუძნებელმა დატოვა ამ პოლიტიკური ძალის „ნაცმოძრაობასთან“ კავშირის ბრალდებით.

- გახარიამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეგ ვერსია არ გავრცელებულიყო. მოგეხსენებათ, „ქართული ოცნება“ თავიდანვე აბრალებდა გახარიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტია, საკაშვილთანაა შეკრული და ამიტომ წავიდაო, რასაც „ნაციონალები“ სასტიკად უარყოფდნენ. ახლა დადგა მოქმედების დრო ანუ როდესაც გახარიას პოლიტიკურმა ძალამ უნდა დააფიქსიროს პოზიცია, რადგან თვითმმართველობების არჩევნებში მისმა თანაგუნდელებმა „ოქროს შუალედის“ დაკავება შეძლეს. ამდენ ხანს ჩუმად იყო, თითქოს მას არ ეხებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ საბოლოოდ მოუწია პოზიციის დაფიქსირება, რასაც ამდენ ხანს ფარავდა. დაიწყო რამდენიმე საკრებულოში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ მოლაპარაკებები და დამტკიცდა ყველაფერი. ცხადია, ის ხალხი, მის პარტიას რომ დაუდგა მხარში, „ქართულ ოცნებას“ არ სწყალობდა, მაგრამ „ნაციონალების“ მოწინააღმდეგე იყო. ამის გამო, ფაქტია, ისინი აღარ გაჩერდებოდნენ ყოფილ პრემიერთან, თავს მოტყუებულად ჩათვლიდნენ და წავიდოდნენ. საინტერესოა ისიც, რომ საკუთარი თანაპარტიელების წასვლის ფაქტზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს თავად გახარია. გასაგებია იმ ხალხის პოზიცია, ვინც წავიდა, მაგრამ სრულიად გაუგებარია გახარიას საქციელი. რა სურს პირადად მას, ჯერ კიდევ არ ჩანს. იქნებ შემდეგ დააკონკრეტოს ეს ყველაფერი და ლოგიკურად ახსნას ჯერ ქვეყნის პირველი პოსტის დატოვება და შემდეგ „ნაციონალებთან“ კავშირი, მაგრამ ამ ეტაპზე რამე ხელჩასაჭიდი არ ჩანს.

- როგორ შეაფასებთ რუსეთ-ჩინეთ-ირანის სამკუთხედს, რომელიც ამ ეტაპზე დაუპირისპირდა დასავლეთს?

- ეს ცნობილი სამკუთხედია, რომელიც დიდი ხანია არსებობს გაეროს სივრცეში, სინქრონულად მოძრაობს და მასში წარმოდგენილი ქვეყნები ყოველთვის ერთმანეთის მხარეს იჭერენ. ამით ცდილობენ ჰეგემონიის დამკვიდრებას მსოფლიო ძალთა გადანაწილების პროცესში. დასავლეთთან სამკუთხედი ნამდვილად შეკრულია, მაგრამ ერთმანეთთან რომ აქვთ პრეტენზიები და ანგარიშსწორება მოუწევთ მალე, ისიც ფაქტია.

- რას გულისხმობთ?

- მაგალითად, ჩინეთი მიზანმიმართულად უშვებს ციმბირში საცხოვრებლად თავის უამრავ მოქალაქეს ანუ ახდენს რუსეთის არაოფიციალურ ანექსიას. როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი, არავინ იცის. თუ რუსეთმა რამე არ იღონა, ამ ტემპებით ჩინეთი ჩავა ურალამდე, მე შენ გეტყვი და პოპულაციის სიმცირე დააკავებს. ინტერესთა ანალოგიური დაპირისპირება ბევრგანაა. მგონი, ირანთანაც აქვს რუსეთს გარკვეული ტიპის პრობლემები. ამიტომაც ვერ ააწყვეს ურთიერთობა. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსეთი ცდილობს თურქეთის დამეგობრებას, მით უმეტეს, ყარაბაღის შემდეგ, რასაც ირანი დიდი სიფრთხილით უყურებს. საერთოდ, ყველაფერი დროებითია ამ სამყაროში, მით უმეტეს, მსგავსი ალიანსები. პრინციპში, დასავლეთთან ამ კავშირმა შესაძლოა თავი გამოავლინოს, მაგრამ გაუგებარია, რით?

იხ. მე-6 გვ.

უცხოეთი

პოლონეთმა უკრაინიდან დიპლომატიური კორპუსის გამოწვევის გეგმა შეიმუშავა იმ შე-

მთხვევისთვის, თუ იქ სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადგილობრივ მედიასთან განაცხადა. ინფორმაციას სააგენტო „ტასსი“ ავრცელებს. „ამ ეტაპზე პოლონელი დიპლომატების ევაკუაციის გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა არ დავმალავ, შემუშავებულია სათანადო გეგმა იმისათვის, რომ რაიმე მოულოდნელობასთან არ მოგვიხდეს პირისპირ დარჩენა“, - განაცხადა პოლონურ რადიოსთან საუბრისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარჩინ პშიდაჩმა.

* * *

- ევროკავშირის ქვეყნები მზად არიან, შემოიღონ სანქციები „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, - განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა. მისივე თქმით, ეს არის კონტრზომა საიმისოდ, რომ რუსეთმა იგრძნოს, რამდენად სერიოზული რისკი იქნება მისთვის უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტი. ფრანგმა დიპლომატმა დასძინა, რომ დასავლეთმა უნდა განაგრძოს დიალოგი ოფიციალურ მოსკოვთან.

* * *

- უკრაინის ნატოში გაერთიანების საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ადგილობრივ მედიასთან საუბრისას ანალენა ბერბოკმა აღნიშნა, რომ ვინაიდან უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხი არ დგას, არც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება არის მოსალოდნელი. მისივე თქმით, ამის შესახებ იციან როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე მოსკოვშიც. „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სოლიდარულია კიევის მიმართ, მაგრამ უკრაინა არ არის ორგანიზაციის წევრი“, - დასძინა ბერბოკმა.

* * *

პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი სი ძინპინი მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის ლიდერებს შეხვდება, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. 4-6 თებერვალს სი ძინპინი დაესწრება პეკინის 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ყაზახეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, სინგაპურის, ეგვიპტის, პოლონეთის, სერბეთის და სხვა ქვეყნების ლიდერები. გახსნის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ რუსეთ-ჩინეთის სამიტია დაგეგმილი.

მსოფლიოში აქამდე არცერთ პარლამენტს არ მიუღია უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, საქართველოს პარლამენტი პირველი იქნება

ანანო ტაბიძე 27 48 93

უკრაინის თემა და მეგობარი ქვეყნისთვის მხარდაჭერა კვლავაც აქტუალურია ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის, თუმცა საპარლამენტო ოპოზიცია და უმრავლესობა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის ერთობლივ ტექსტზე ვერ შეთანხმდნენ. საპარლამენტო ოპოზიციამ უმრავლესობას უკრაინის მხარდამჭერი ერთობლივი საპარლამენტო რეზოლუციის მიღებისკენ მიმდინარე კვირის დასაწყისში მოუწოდა. მათ საკუთარი ტექსტიც შეიმუშავეს, თუმცა პარლამენტში ბიუროზე მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ „ქართული ოცნება“ რეზოლუციის საკუთარ ტექსტს შესთავაზებდა ოპოზიციურ ფრაქციებს. ტექსტზე მუშაობა უშედეგოდ დასრულდა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ მცდელობა არ დაუკლიათ რეზოლუციის ტექსტში ყველა ფრაქციისა და ოპოზიციური ჯგუფის ინტერესის გასათვალისწინებლად, თუმცა შეთანხმება ვერ შედგა. მისი თქმით, რეზოლუციის ერთობლივი ტექსტის მიღება ვერ მოხერხდა დეტალებისა და „სიტყვების“ გამო და მას მხარდასაჭერად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი დაარეგისტრირებს. ამასთან, მამუკა მდინარაძე ირწმუნება, რომ ეს არის საკითხი, რომელთან დაკავშირებით საჭიროა საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და მეგობარი უკრაინელი ხალხის, მათი სუვერენიტეტის, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესების შესაბამისად მოქმედება.

რეზოლუციის ტექსტში, რაზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ, წერია: „საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის გამო და გმობს ყოველგვარ განზრახვას, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული, რაც ახალ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას, აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არის სახელმწიფოს სუვერენული უფლება და სამხედრო-პოლიტიკური არგუმენტებით ამ უფლების შეზღუდვის ყოველგვარი მცდელობა კატეგორიულად მიუღებელია. მიიჩნევს, რომ უკრაინაში ომის არდაშვება უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის უმთავრესი საზრუნავი. სოლიდარობას უცხადებს მეგობარ უკრაინელ ხალხს, რომელსაც ყოველგვარი შესაძლო სამხედრო ესკალაციით მძიმე ზიანი შეიძლება მიადგეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დიპლომატიური ინსტრუმენტების გამოყენებით და სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით განაგრძოს თავისი წვლილის შეტანა უკრაინაში ომის არდაშვებაში“.

რატომ არ ჩაიწერა რეზოლუციის ტექსტში რუსული აგრესია? ამ კითხვაზე მამუკა მდინარაძემ განმარტა, რომ რეზოლუციის ტექსტში ყველა სიტყვა არის აწონილი და „დაცლილია პროვოკაციული რიტორიკისგან“.

საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების განცხადებით, რეზოლუციის ტექსტს ხელს ვერ მოაწერენ.

„რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლის, ხათუნა სამნიძის თქმით, რეზოლუციის ტექსტში არ არის გამოკვეთილი რუსეთის როლი, რაც იყო ოპოზიციის მოთხოვნა.

- საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი იქიდან გამომდინარე, რომ დილით რა ტექსტიც დაგვახვედრა „ქართულმა ოცნებამ“, იქ გათვალისწინებული იყო რიგი კომენტარები და მოთხოვნები, რომელიც ოპოზიციას ჰქონდა. ვთქვი დღეს, რომ თუ რამე რადიკალურად არ შეიცვლებოდა, ჩვენ შეთანხმებას შევძლებდით, რადგან პრინციპული საკითხები შეთანხმებული იყო. როგორც ჩანს, სწორედ რადიკალურად შეიცვალა, როგორც ახასიათებს „ქართულ ოცნებას“, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილებებით ვერ დგამს ნაბიჯებს, როგორც ჩანს, მიიღეს მითითება. მე სხვანაირად ამას ვერ ვხსნი იმიტომ, რომ არავითარი კონკრეტული არგუმენტი არ მომისმენია „ქართული ოცნებისგან“. ის ტექსტიც კი, რომელიც წარმოდგენილი იყო, შეიცვალა, - განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის, ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ ინიციირებულმა ვარიანტმა ხელმოწერის საშუალება არ მისცა.

- შეთანხმება ვერ მოხდა იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა თავდაპირველი ვერსია, რომლის გაუმჯობესებული ვარიანტი განვიხილეთ, მაგრამ კვლავ თავდაპირველი ვერსია წარმოადგინა, რამაც აღარ მოგვცა საშუალება, ვიყოთ თანაინიციატორები ამ კონკრეტული ვერსიის. ჩვენ, ოპოზიციურ ფრაქციებს ვგულისხმობ, ვიმსჯელებთ შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით, როგორ ვიმოქმედოთ ამ ვითარებაში. „ქართული ოცნების“ ტექსტს თქვენ ნახავთ და ყველა თქვენს კითხვაზე არის იქ პასუხი გაცემული, რატომ არ დავუჭირეთ მხარი თანაინიციატორობას, - განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

რეზოლუციის ტექსტში რუსეთის აგრესიის არხსენება გახდა „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ მიზეზი, რის გამოც არ შეუერთდნენ ტექსტს.

- ვადასტურებ, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია ნახსენები არ არის. ამიტომ ჩვენ თანაინიციატორები ვერ ვიქნებით ამ რეზოლუციის და გავაგრძელებთ მსჯელობას. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ ალტერნატიული რეზოლუციის პროექტი დაარეგისტრიროს, მაგრამ აქ არის მთლიანი ოპოზიციის პოზიცია გასათვალისწინებელი, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა ხატია დეკანოიძემ.

- საქმე გვაქვს პოლიტიკურ მანიპულაციებთან და ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ საქართველოს პარლამენტს კონსენსუსზე დაფუძნებული ერთიანი რეზოლუცია მიეღო. ტექსტში, რომელიც ხელისუფლებამ შეადგინა, მთავარი პათოსი იყო ის, რომ ჩვენი პოზიციაა, არ იყოს დაშვებული სიტუაციის შემდგომი ესკალაცია, ნაბიჯები იყოს გადადგმული პრევენციისკენ და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი, სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა და მისი ფუნდამენტური საერთაშორისო უფლებების დარღვევა. ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, სუვერენიტეტზე, ღია კარის პოლიტიკაზე, სუვერენულ უფლებაზე, ავირჩიოთ ჩვენი ალიანსები - ამ ყველაფერზე საუბარია რეზოლუციაში. ჩვენ არ გვეშინია მკაფიო პოზიციის დაფიქსირების - ეს რომ ასეა, ფაქტებით არის დადასტურებული. მინდა შეგახსენოთ, რომ ამ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სამართლებრივადაც მიგვეღო დოკუმენტი, სადაც იქნებოდა ტერმინი „ოკუპაცია“ და ყველაფერს დაერქმეოდა თავისი სახელი და რუსეთის ფედერაცია იქნებოდა განსაზღვრული, როგორც ეფექტური კონტროლის გამტარებელი ოკუპანტი ქვეყანა დაპყრობილ ტერიტორიებზე. ჩვენ ეს გავაკეთეთ

> **„** *ტექსტში, რომელიც ხელისუფლებამ შეადგინა, მთავარი პათოსი იყო ის, რომ ჩვენი პოზიციაა, არ იყოს დაშვებული სიტუაციის შემდგომი ესკალაცია, ნაბიჯები იყოს გადადგმული პრევენციისკენ და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი, სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა და მისი ფუნდამენტური საერთაშორისო უფლებების დარღვევა*

> **„** *რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია ნახსენები არ არის. ამიტომ ჩვენ თანაინიციატორები ვერ ვიქნებით ამ რეზოლუციის და გავაგრძელებთ მსჯელობას. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ ალტერნატიული რეზოლუციის პროექტი დაარეგისტრიროს, მაგრამ აქ არის მთლიანი ოპოზიციის პოზიცია გასათვალისწინებელი*

ნებული სწორედ იმის გამო, რომ 2008 წელს საქართველოს ოკუპაცია და ფუნდამენტური პრინციპების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უგულებელყოფა მოხდა. სწორედ რუსეთის ფედერაციამ უნდა გადადგას ნაბიჯები დეოკუპაციასთან დაკავშირებით. 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვედით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ უამრავი ნაბიჯი გადაიდგა სიტუაციის დეესკალაციის მიმართულებით. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაციას საბაბი არ მისცემოდა, ყოფილიყო დესტრუქციული თუნდაც ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში. პრემიერ-მინისტრმა სპეციალური კომუნიკაციის არხიც დააფუძნა - ზურა აბაშიძე მაქვს მხედველობაში, რათა დიალოგის არხი ყოფილიყო იმისთვის, რომ იმ თემებზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რაღაც შეთანხმების მიღწევა, თუნდაც ფრენების აღდგენასთან ან ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით, არ გამოეყენებინათ ეკონომიკური ბერკეტები პოლიტიკური მიზნებისთვის. ჩვენ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი შემხვედრი ნაბიჯი გადავდგით, რასაც, სამწუხაროდ, არ მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ასეთივე ნაბიჯები. ჩვენ გავაკეთეთ ძალის არგამოყენების განცხადება, რომელიც იურიდიულად სავალდებულო გახდა. ესეც დეესკალაციისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია, რასაც არ მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან იგივე და დღემდე ველოდებით, რომ მათაც განცხადება გააკეთონ ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით. ფრენები ხომ ჩვენ არ შეგვიწყვეტია? რუსეთმა შეწყვიტა აბსოლუტურად ხელოვნური მიზეზების გამო, - აცხადებს დავით ზალკალიანი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს იმასაც, რომ უკრაინიდან საქართველოს საელჩოს თანამშრომლების ევაკუაცია არ მოხდება და საელჩო აქტიურ მუშაობას გააგრძელებს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში საელჩომ გამართულად იფუნქციონიროს და სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

- ვფიქრობ, რომ საჭიროა ამ მხარდაჭერის დემონსტრირება და ჩვენი უკრაინელი კოლეგების მხრიდან ძალიან პოზიტიურად იყო აღქმული. მინისტრმა ძალიან დიდი მადლობა გადამიხადა იმისთვის, რომ ჩვენ საელჩოს ვინარჩუნებთ და არ ვახდენთ მათ ევაკუაციას ამ მეტად მძიმე დროს ჩვენი უკრაინელი კოლეგებისთვის, - ირწმუნება დავით ზალკალიანი.

ამასთან, ის აღნიშნავს, რომ თუკი პარლამენტარები უკრაინაში ვიზიტს გადაწყვეტენ, ამაში რაიმე პრობლემას ვერ ხედავს.

ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, მმართველ გუნდში ირწმუნებიან, რომ მსოფლიოში ჯერ არცერთ პარლამენტს არ მიუღია უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია და საქართველოს პარლამენტი იქნება პირველი, რომელიც ამგვარ რეზოლუციას მიიღებს.

- სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტში შემუშავდა განცხადებები, მიმართვები და ცალკეულ პოლიტიკოსთა მხარდაჭერის აქტები, მაგრამ რეზოლუცია არცერთი ქვეყნის პარლამენტს არ მიუღია. ასე რომ, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც უცხო ქვეყანა მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას და იღებს რეზოლუციას, რომელშიც ძალიან ზუსტად არის განსაზღვრული დღევანდელი დღის მთავარი პოლიტიკური ამოცანა. ეს არის ის, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომი არ დაიწყოს. თუ იქ ომი დაიწყო, ეს გამოიწვევს რეგიონულ კატასტროფას, არა მარტო უკრაინისთვის, არამედ თავად რუსეთისთვისაც და ჩვენი ქვეყანაც იქნება ჩათრეული. ასე რომ, მთელ ამ დებატებში მთავარი არის ის, რომ საქართველოს პარლამენტი აპირებს, მიიღოს უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, - აცხადებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხელაშვილი. მისივე თქმით, ხელისუფლებას რეზოლუციაში რაც არ უნდა ჩაეწერა, ოპოზიცია აუცილებლად გამონახავდა ობსტრუქციის საფუძველს.

> **„** *ტექსტში, რომელიც ხელისუფლებამ შეადგინა, მთავარი პათოსი იყო ის, რომ ჩვენი პოზიციაა, არ იყოს დაშვებული სიტუაციის შემდგომი ესკალაცია, ნაბიჯები იყოს გადადგმული პრევენციისკენ და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი, სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა და მისი ფუნდამენტური საერთაშორისო უფლებების დარღვევა*

ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში შესაძლოა, თებერვალში შეიჭრას

ტელეკომპანია CNN-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის რეალური შესაძლებლობა არსებობს

„პრეზიდენტმა ბაიდენმა თქვა, რომ რეალური შესაძლებლობაა, რუსეთი უკრაინაში თებერვალში შეიჭრას. ის ამას საჯაროდაც ამბობდა და ჩვენ თვეების განმავლობაში ვსაუბრობდით ამის შესახებ“, - აღნიშნა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ემილი ჰორნმა.

ჯო ბაიდენისა და ვოლოდიმირ ზელენსკის სატელეფონო საუბრისას, პრეზიდენტმა ბაიდენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მზადყოფნა, მოკავშირეებსა და პარტნიორებთან ერთად მტკიცე რეაგირება მოახდინოს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინაში კვლავ შეიჭრება.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ჰქონდა და მხარეები ერთობლივ სამომავლო ქმედებებზე შეთანხმდნენ.

უკრაინაში და მის გარშემო რუსეთის სამხედრო აქტიურობის ფონზე ნატო აღმოსავლეთ ევროპაში დამატებით ძალებს წარმართავს. ევროკავშირი მზად არის, რუსეთს აქამდე არნახული ეკონომიკური სანქციები დაუწესოს, თუკი იგი უკრაინას თავს დაესხმება.

უკრაინის საზღვართან რუსეთის ჯარების დაგროვებამ დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია, რომ იგი შესაძლოა, უკრაინაში შეიჭრას. სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, დასავლეთი კრემლს მასშტაბური ეკონომიკური სანქციებით ემუქრება. მოსკოვმა განაცხადა, რომ უკრაინაში შეჭრას არ აპირებს.

უკრაინაში გერმანიის საელჩოს შემადგენლობა ჯერჯერობით კიევში რჩება

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა დაადასტურა, რომ უკრაინაში გერმანიის საელჩოს პერსონალი ამჟამად კიევში რჩება

„რა თქმა უნდა, ჩვენ მუდმივად ვამოწმებთ უსაფრთხოების დონეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მათ შორის უკრაინაში“, - აღნიშნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ანალენა ბერბოკის თქმით, გერმანიამ გადაწყვეტილება მიიღო, უკრაინაში საელჩოს პერსონალი არ შეამციროს, ხოლო სურვილის შემთხვევაში, საელჩოს თანამშრომლების ოჯახის წევრებს გერმანიაში დაბრუნება შეუძლიათ.

„ახლა მნიშვნელოვანია უკრაინის დესტაბილიზაცია არ მოვახდინოთ. თუ ინვესტორებს უკრაინაში გაურკვეველი ან არასტაბილური სიტუაციის შეგრძნება ექნებათ, მათი მხრიდან ინვესტირების მზადყოფნა შემცირდება. ეს ზუსტად ის არის, რაც პუტინს ხელს აძლევს“, - აღნიშნა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ოფიციალურმა პირებმა 28 იანვარს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამ ორი ქვეყნის უსაფრთხოების ძალებს შორის საზღვართან მომხდარ შეტაკებებს სულ მცირე ორი ადამიანი ემსხვერპლა, არიან დაჭრილებიც

შეტაკებებმა 27 იანვარს იფეთქა და ამ ორ ქვეყანას შორის ყველაზე გამოკვეთილი ძალადობა იყო შარშანდელი წლის შემდეგ, როცა მსგავს დაპირისპირებას ათობით პირი შეეწირა. შეტაკებები გამოიწვია ორ ქვეყანას შორის ბუნდოვნად გავლებულ სასაზღვრო ზოლთან, ბლოკირებული გზის გამო მომხდარმა კონფლიქტმა.

ტაჯიკეთის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი აცხადებს, რომ დაიღუპა ორი და დაიჭრა ათი ადამიანი, მათ შორის უსაფრთხოების ძალების ექვსი წევრი და ოთხი სამოქალაქო პირი.

28 იანვარს, დილით ყირგიზეთის საზღვრის დაცვის სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიაღწია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სრულ შეთანხმებას, მას მერე, რაც ორი მხარის ოფიციალურმა პირებმა მოლაპარაკებები გამართეს.

შეთანხმების თანახმად, საზღვრიდან ორივე მხარე გაიყვანს დამატებით ძალებს და შეიარაღებას, გახსნის გზატკეცილს და საზღვარზე ერთობლივ პატრულირებას დაიწყებს.

„ღმერთმა დამიფაროს, უკრაინის წინააღმდეგ ვიბრძოლო“

„მე არასდროს მითქვამს და არც ვიტყვი, რომ გავაგზავნი ბელარუსის მოქალაქეებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიმე ერის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ ახსენეთ უკრაინა, ღმერთმა დამიფაროს, ამ ხალხის წინააღმდეგ ვიბრძოლო“, - აღნიშნა ლუკაშენკომ.

მისი თქმით, ომი მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ბელარუსს ან რუსეთს პირდაპირ თავს დაესხმებიან.

„ომი იქნება თუ არა? დიახ, იქნება, მაგრამ მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ ბელარუსის წინააღმდეგ განხორციელდება პირდაპირი აგრესია“, - განაცხადა ლუკაშენკომ მოსახლეობისადმი მიმართვისას.

მისივე თქმით, ბელარუსზე თავდასხმის შემთხვევაში ასი ათასობით რუსი ჯარისკაცი მათთან ერთად იბრძოლებს.

„თუ ბელარუსის წინააღმდეგ აგრესია იქნება, ასობით ათასი რუსი ჯარისკაცი იქნება აქ, რომელიც ასობით ათას ბელარუსელთან ერთად დაიცავს ამ მიწას“, - განაცხადა ლუკაშენკომ. მისი თქმით, ომი დაიწყება იმ შემთხვევაშიც, თუ ბელარუსის მოკავშირე რუსეთს პირდაპირ დაესხმებიან თავს.

„მეორე მომენტი, როცა ომი იქნება და ბელარუსი მასში მონაწილეობას მიიღებს, თუ აგრესია განხორციელდება ჩვენი მოკავშირის - რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, - აღნიშნა ლუკაშენკომ. ამასთან, ბელარუსის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში გამარჯვებული არავინ იქნება - „ყველა ყველაფერს წააგებს!“.

გვერდი მოამზადა
მარი მიდასელმა

შტორმი „ანა“ – აფრიკაში

სამხრეთ აფრიკის ქვეყნებს - მადაგასკარს, მალავისა და მოზამბიკს ტროპიკულმა შტორმმა „ანამ“ გადაუარა. Al Jazeera-ს ცნობით, სტიქიას, სულ მცირე, 70 ადამიანი ემსხვერპლა.

გავრცელებული ცნობით, მადაგასკარში - 41, მოზამბიკში - 18, მალავიში კი 11 ადამიანი დაიღუპა. დაზიანდა ასობით საცხოვრებელი სახლი. მოსახლეობა დროებით თავშესაფრებშია გადაყვანილი.

საუკუნეების შემდეგ უდანაშაულოდ ცნეს

კატალონიის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც აქ მე-15 - მე-18 საუკუნეებში ალქაჯობის ბრალდებით სიკვდილით დასჯილი ქალები უდანაშაულოდ ცნეს. ამის შესახებ გამოცემა El Correo წერს

ისტორიკოსების შეფასებით, ამ პერიოდის განმავლობაში კატალონიაში ალქაჯობის ბრალდებით 1000-მდე ქალს მოუსწრაფეს სიცოცხლე. დადგენილებას მხარი მემარცხენე და ნაციონალისტურმა პარტიებმა დაუჭირეს. მათ ალქაჯებზე ნადირობა ფემიციდს შეადარეს.

დოკუმენტი კატალონიის ქალაქების ხელმძღვანელობას სთავაზობს, რომ მოედნებსა და ქუჩებს მსხვერპლების სახელები დაარქვან.

კატალონია ევროპის ერთ-ერთი პირველი რეგიონია ევროპაში, სადაც მე-15 საუკუნეში ალქაჯებზე ნადირობა დაიწყო. ქალებს ამ ბრალდებით ბავშვების უეცარი გარდაცვალების, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ცუდი მოსავლის გამო ასამართლებდნენ. ამასთან, შეშის ეკონომიის მიზნით, სიკვდილით დასჯის მეთოდად ხშირ შემთხვევაში არა კოცონზე დაწვას, არამედ ჩამოხრჩობას ირჩევდნენ.

ალქაჯობის ბრალდებით მოკლულები უდანაშაულოებად სხვა ქვეყნებშიც აღიარეს. გერმანიასა და ნორვეგიაში მათ პატივსაცემად მემორიალები გახსნეს. მსგავს კანონპროექტზე შოტლანდიის პარლამენტიც მუშაობს.

„ვაპირებ იმას, რაშიც შაურს არავინ იხდის, კოხტად, ლამაზად დაბერებას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს, არაერთი სამთავრობო ჯილდოს მფლობელს, საკმაოდ გახმაურებული რომან-ტრილოგიის ავტორ ***აკაკი მახარაძეს*** *4 თებერვალს 60 წელი უსრულდება. იუბილარს „აჭარა“ მშობლიურ შუახევში ესაუბრა.*

- მახალაკიძეებელი მერი მანელიშვილი-მახარაძისა და ისრაფილ მახარაძის ოჯახში სანიმუშო შვილები აღიზარდეთ...

- დიდი აკაკი ბრძანებს: „მაგრამ მარტო წრთვნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, უფლის, ბუნების ნება და სწორი აღზრდა-განათლება ჰარმონიულ თანხვედრაშია. მამაჩემი 1919 წელსაა დაბადებული. მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მან შვიდწლედი დაამთავრა. მაშინ ასეთი განათლებით ადამიანები მთიან აჭარაში თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. მამის ბაბუას ერთ-ერთ ძმას უმაღლესი იურიდიული და სასულიერო განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული... მე და ჩემს ძმებს ტრაბახი არ გვხიბლავს, მაგრამ სიმართლეს თუ ვიტყვი, ნუ დამძრახავთ: ოდითგანვე როგორც დედის, ასევე მამის მოდგმის ხალხი ნიჭიერებით, რაინდული თვისებებით, ვაჟკაცობით, ეროვნულობით გამოირჩეოდნენ. წინაპართა ხსოვნის წინაშე უმადური ვიქნები, თუ არ აღვნიშნე - მინუმუმ, ბოლო ორ-ნახევარი საუკუნე ჩვენი გვარის სოფლის თუ თემის მამასახლისები, გამგებლები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სკოლის დირექტორები, წამყვანი პედაგოგები იყვნენ, ასევე ქობულეთში დაწინაურებული იყვნენ მანელიშვილები. ისიც უნდა ითქვას, რომ გვარები - მანელიშვილი და მახარაძე ქართველ თავადაზნაურთა ჩამონათვალს ამკობდნენ...

- დროთა ქარტეხილების გამო, უფროსმა ძმებმა საკმაოდ რთული ბავშვობა გამოიარეთ. შვილები ოჯახს ფიზიკურ შრომასაც უმსუბუქებდით...

- ოჯახმა შვიდი შვილი აღგვზარდა - ორი ქალიშვილი და ხუთი ვაჟი. დები - ნათელა და ეთერი მალე ეზიარნენ ბედნიერებას და სანიმუშო ოჯახებიც შექმნეს. სოფლად, მით უმეტეს, მთიანეთში, ცხოვრება ძნელი იყო, დიდ ფიზიკურ და მორალურ ძალისხმევას მოითხოვდა კოლექტიური შრომისა და საოჯახო მეურნეობის მოწყობა-წარმართვის შეხამება, ამიტომ, როგორც სოფლის ყველა ახალგაზრდა, ჩვენც პატარაობიდანვე ჩავერთეთ შრომის ფერხულში. უფროსებს მხარში ვედექით მთასა თუ ბარში. ისიც გათავისებული გვქონდა, რომ სოფლად ცხოვრება ახალგაზრდების, მით უმეტეს, ნიჭიერ, ცოდნას მოწყურებულთ, უღიმღამო პერსპექტივას გვიქადდა. ამანაც განაპირობა სოფლის ახალგაზრდობის მხრიდან ცოდნის მიღების დაუოკებელი ლტოლვა და ცხოვრების უკეთესი, ღირსეული პირობების და გარემოს შექმნისთვის სწრაფვა. უფლის ნება, ბუნების მიერ მომადლებული ნიჭიერება, მშობლებისა და ქართული ეროვნული სკოლის სწორი აღზრდა-განათლების მიღების შესაძლებლობა განაპირობებდა მთიანი აჭარის ახალგაზრდობის სანიმუშო და საარაკო წარმატებებს მეცნიერებისა თუ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ძმებმაც შევძელით ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენა: ვლადიმერი ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, შოთა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი იყო, ზურაბი - ალმა-ათის უმაღლესი სამეთაურო ზოგადსაჯარისო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ამჟამად წარმატებული ბიზნესმენია, ვალიკო - სოფლის მეურნების სპეციალისტი, ამჟამად - მშენებელი.

- სამხედრო მოსამსახურე იყავით, თანაც საკმაოდ კარგი ავტორიტეტით. სამხედრო სამსახურზე ნაადრევად რატომ თქვით უარი?

- 15 წლისა მხედრული ცხოვრების ფერხულში ჩავები. კადეტთა სკოლა, უმაღლესი სასაზღვრო სამეთაურო სასწავლებელი, უშიშროების სამსახურის აკადემია დავამთავრე. საკმაოდ წარმატებული სამხედრო კარიერა კარგ პერსპექტივებს მიქადდა, მაგრამ თავისთვის პირობა მქონდა მიცემული - სამხედრო სამსახურისთვის დადგენილი აუცილებელი ნამსახურეობის (საბჭოთა კავშირის დროს ოფიცერს მინიმუმ 25 კალენდარული წელი უნდა ემსახურა) წლების შემდეგ თადარიგში გავსულიყავი. მეორეცაა, ჩემს ნებასა და გემოზე მინდოდა მეცხოვრა, მთელი შეგნებული ცხოვრება ხომ სულ მეთაურის დიქტატისა და ანგარიშგების ქვეშ ვერ ვიქნებოდი...

- კრიტიკამ თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა თქვენს პირველ რომანს „ტრეფიკინგის მსხვერპლი“. მისი მთავარი გმირი ბუნებაში არსებობს თუ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია?

- არავითარი ფანტაზია, ჩემი ყველა ნაწარმოები დოკუმენტურ-ისტორიულ-მხატვრულია. ყოველი ლიტერატურული პერსონაჟისა თუ გმირის უკან კონკრეტული ადამიანების ბედი და ცხოვრება დგას. ამ შემთხვევაშიც ასეა. „ტრეფიკინგის მსხვერპლის“ მთავარი გმირი მარიკა ამ შემთხვევაში უფრო კრებსითი პერსონაჟია. ისე... ქუთაისელი მარიკა ნამდვილად არსებობდა.

- ტრილოგია „იდუმალი ფრონტის რაინდი“ ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მწერლობისთვის. რა დრო დაგჭირდათ, წლების განმავლობაში ნაგროვები მასალები, სტატისტიკური მონაცემები მკითხველამდე რომ მიგეტანათ?

- უჩინარი ფრონტი და მისი „რაინდების“ საიდუმლო, ფარული მოღვაწეობა, ფათერაკებითა და იდუმალებით მოცული ეგზოტიკური ცხოვრება და აქედან გამომდინარე, რომანტიზმით გაჯერებული ჰეროიკა მკითხველისთვის ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია... მე სასაზღვრო ჯარების ოპერატიულ სამსახურში ვმსახურობდი, წვდომა მქონდა შესაბამის დოკუმენტურ მასალებსა და სპეციალურ ლიტერატურასთან. ნამდვილად, წლების განმავლობაში ნაგროვ-ნალოლიავები მასალები, საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი, რუსეთის შორეულ ჩრდილოეთში განლაგებული ციხე-კოლონიების რეალურად მკაცრი პირობები, იქ დატრიალებული ტრაგედიები, მილიონობით განწირულ-გაუბედურებული ადამიანის ყოფა და ჩამკვდარი სიცოცხლე იმსახურებდა სამზეოზე გამოტანას. ყოველივე ამის თავმოყრას რამდენიმე წელი დასჭირდა. მეორეცაა: მინდოდა ამ ფრონტზე მთიანი აჭარის საზღვრისპირა მკვიდრთა როლი და წვლილი წარმომჩინა, გამეანალიზებინა და ფართო საზოგადოებამდე ისე მიმეტანა. აჭარასა და აჭარლებზე, მათ ტრადიციებზე, საარაკო წვლილსა და შემართებაზე, უბედობასა თუ გმირობებზე მინდოდა, მეტი სცოდნოდა მკითხველ საზოგადოებას.

> ***„შემოქმედების თვალსაზრისით, საუკეთესო ფორმაში ვარ. მინდა მოვასწრო ჩემი სათქმელის თქმა. იუბილეს დავამთხვიე მოთხრობებისა და ლექსების კრებულის - „მოყვარეს პირში უძრახე...“ გამოცემა. ამჟამად, რამდენიმე რომანსა და ნაწარმოებზე ვმუშაობ... თავის გამოსაჩენად ან სტატისტიკისთვის არ ვმუშაობ. სანამ მეწერება, ვწერ***

- მწერლობას რეგისტრირებული კავშირ „მარეთის“ თავმჯდომარეობასაც უთავსებთ, აჭარაში მართლმადიდებლური მრწამსის დაბრუნების სათავეებთან იდექით. მართლმადიდებლობისკენ დაწყებული დიდი შემობრუნების პროცესი რა ადგილს იჭერს თქვენს შემოქმედებაში?

- ჩვენს მხარეში - აჭარაში, ოსმალეთის სამასწლოვანი ჩაგვრა-ბატონობის, რუსეთის იმპერიის ორმოცწლიანი ცარისტულ-დისკრიმინაციული პოლიტიკის, კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლოვანი ათეისტური ფართომასშტაბიანი მოღვაწეობა-უღმერთობის შემდეგ, მართლმადიდებლობისკენ შემობრუნება და მრწამსის დამკვიდრება-აღორძინება ზოგადქართული ეროვნული მნიშვნელობის და ღირსების საქმეა. ჩვენს თაობას პატივი გვხვდა წილად, წვლილი შეგვეტანა ამ მამულიშვილურ, სრულიად ეროვნულ საქმეში. პრაქტიკული ძალისხმევის გარდა, ჩემი ლიტერატურული შემოქმედებაც მის სამსახურს დავუქვემდებარე. ყველა ნაწარმოებში იკვეთება და იკითხება ეს სულისკვეთება, განსაკუთრებით კი ნაწარმოებებში - „ერთი ანდერძის ექო...“ და „ბოროტსა სძლია კეთილმან...“.

- სიამაყე, გაუტეხლობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა გახასიათებთ...

- გამოგიტყდებით და, თქვენ მიერ ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად, მარეთელი მახარაძეები ოდითგანვე გამოვირჩეოდით სიფიცხით, ემოციურობით, თავშეუკავებლობით. ყოველთვის მაქსიმალისტები ვიყავით სიყვარულშიც, თავდადებაშიც, ერგულებაშიც, სიძულვილშიც და... მტრობაშიც კი, მაგრამ, ამასთანავე, უფალმა მოგვმადლა მალე დამშვიდება-დაშოშმინების, სწორი განსჯისა და ანალიზის, რაც მთავარია, სამართლიანი და ღირსეული ქცევის უნარი. მიტევება და პატიება შეგვიძლია, გადამტერება არ გვიყვარს.

- დროის მოკლე მონაკვეთში 10-მდე წიგნის გამოცემა საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული. სპონსორები, თანამდგომნი გყავთ თუ საკუთარი დანაზოგით ახერხებთ ამას?

- მხოლოდ საკუთარი დანაზოგითა და ოჯახის თანადგომით...

- მწერლის ცხოვრების გზაზე 60 წელი საუკეთესო ასაკია. ინტერესმოკლებული არ იქნება, „აჭარის“ მკითხველს სამომავლო გეგმებსაც თუ გაანდობთ?

- შემოქმედების თვალსაზრისით, საუკეთესო ფორმაში ვარ. მინდა მოვასწრო ჩემი სათქმელის თქმა. იუბილეს დავამთხვიე მოთხრობებისა და ლექსების კრებულის - „მოყვარეს პირში უძრახე...“ გამოცემა. ამჟამად, რამდენიმე რომანსა და ნაწარმოებზე ვმუშაობ... თავის გამოსაჩენად ან სტატისტიკისთვის არ ვმუშაობ. სანამ მეწერება, ვწერ. მოგეხსენებათ, პატრიოტიზმის თემატიკა ჩემი შემოქმედების ამოსავალია. ამჯერადაც ისტორიულ-დოკუმენტურთან ერთად, დეტექტიური კონტექსტიც იქნება...

- ისტორიულად, ცნობილი მწერლები სიბრძნის ასაკიდან ცხოვრებას, შრომის, შემოქმედებით საქმიანობას ქალაქებში ამჯობინებენ. თქვენ სოფელში საცხოვრისის გაჩენას და დამკვიდრებას აპირებთ. რას მივაწეროთ?

- გასული საუკუნის 90-იან წლებში მარეთის ხეობაში, მამისეული კარმიდამოს გვერდით, მიწის ნაკვეთი შევიძინე. პირველად თქვენ გაგიმხელთ - ძმებმა გადავწყვიტეთ, ჩვენს სამკვიდროში ისტორიული ციხე-კოშკი და ეკლესია აღვადგინოთ. მიყვარს ჩემი სამშობლოს მთა-ბარი. მსურს ჩემი გენის სამკვიდრო-სამოთხეში, მშობლიურ გარემოსთან და წინაპართა სამყაროსთან ერთსულ-ერთხორცობა!.. უფალო, შეგვაძლებინე! პათეტიკურ კითხვაზე კი - რას ვაპირებ, ლექსად გიპასუხებთ:

- შენ მეკითხები -
რას ვაპირებ აწი და აწი!..
- რას შეიძლება აპირებდეს
ჩემი ხნის კაცი?!
ვაპირებ იმას, რაშიც
შაურს არავინ იხდის:
კოხტად,
ლამაზად,
დაბერებას,
ლამაზად სიკვდილს!
შენ რა, საერთოდ
მეკითხები, გავიგო ასე?
თუ სამომავლოდ
რას ვაპირებ,
დავუშვათ ხვალ-ზეგ?!
თუ ასეა და...
დამთავრებას ველი იანვრის...
თოვლი მიყვარს და...
სოფელში წასვლას,
ველი ფანჯრების ამოვსებას
ქარბორბლის თოვლით...
ჰო, თოვლით!
ოო!.. ჯადოსნურ სიმყუდროვეს,
მშვიდ ფიქრს და წერას...
ჰო, ჩემი ცხოვრების
რომანის წერას!

გვფარავდეს უფალი!

რამაზ საყვარელიძე: ჩინეთი ახლენს რუსეთის არაოფიციალურ ანექსიას

მე-3 გვერდიდან

- საომარ მოქმედებებში - ნატოს წინააღმდეგ?

- გამორიცხულია, რადგან ეს სამეული საომარ მოქმედებებში ერთმანეთს გვერდით არ დაუდგება, რაც კარგად ჩანს თუნდაც იმ ფრთხილ შეფასებებში, ახლა რომ კეთდება. ჩინეთსაც და ირანსაც საკმაოდ მყიფე ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, რაც არ აძლევთ დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავების შანსს. მით უმეტეს, რომ მათ ჯერ ისევ აქვთ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები დასავლეთთან, რომელზე სანქციების დადებით ბევრს დაკარგავენ, ანუ ჩაიხსნება და დაირღვევა ეკონომიკური კონტრაქტები, რაც უზარმაზარ ზიანს მიაყენებს მათ ეკონომიკას და უკვე ზარალიანი გახდება იმ სამკუთხედში თანაპარტნიორობა, რომლითაც რუსეთი გარკვეულწილად ემუქრება დასავლეთს.

- ჩინეთი ხომ წამყვანი ეკონომიკით იყო ცნობილი?

- რაღაც პერიოდში ჩინეთში დაიწყო ეკონომიკური პრობლემების გამწვავება, იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ დიდხანს მოდიოდა, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ფავორიტი. ისიც სათქმელია, რომ ჩინეთი საკუთარი ეკონომიკის პრობლემების მოგვარებას ოლიმპიადას უკავშირებს, ხოლო თუ ომი დაიწყო, რომელ ოლიმპიადაზეა საუბარი?! ასე რომ, ფაქტია, მსგავსი ფაქტორები ამოტივტივდება და ამიტომ ომში ეს ქვეყნები რუსეთს ნაკლებად დაეხმარებიან. ეკონომიკურადაც, თავად გასჭირვებიათ და, დიდს ვერაფერს შესთავაზებენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ვინმე ვინმეს ეხმარება, ამას აკეთებს განსაზღვრული საფასურის გამო, ასე რომ, საბოლოოდ რუსეთს მოუწევს საფასურის გადახდა, თუმცა რას მოსთხოვენ სანაცვლოდ, ეს ცალკე საუბრის თემაა.

მისი წარმატების საიდუმლო მარტივია და რთულიც

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ლეილა კეკელიძე - ეს ღვაწლმოსილი ქალბატონი თავისი საქმიანობითა და პიროვნული თვისებებით იმდენად გამორჩეული და მისაბაძია თანასოფლელებისა და თანამოსაქმეებისათვის, რომ როცა მასზე საუბრობენ, მხოლოდ სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი სიტყვები ისმის. ეს გულწრფელი სიტყვებია, მადლიერებითა და სიკეთით სავსე, დამსახურებული პატივგება ამაგდარისა...

ქედის საპატიო მოქალაქე, ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელი, წიგნისა და პოეზიის დიდი ტრფიალი, წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო ლიტერატურული და სოციალური ღონისძიების ინიციატორი და დამაარსებელია.

ეს არასრული ჩამონათვალია ქალბატონ ლეილას მიერ გაწეული საქმიანობისა, რაც მოწონებას იმსახურებდა უწინაც და ახლაც. დიახ, ახლაც, რადგან ამაგდარს საქმე იმდენად უყვარს, რომ დაღლა არ ეტყობა, არც ენთუზიაზმი განელებია და ძველებური გულითადობით განაგრძობს საყვარელ საქმიანობას, რაც, ძირითადად, ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს უკავშირდება.

- სამწუხაროდ, პანდემიის გამო მუზეუმს შემოაკლდა სტუმრები, - გვითხრა ქალბატონმა ლეილამ, - ახლა მუზეუმის რესტავრაცია მიმდინარეობს და შეიძლება სტუმრებს სათანადოდ ვერ დავხვდეთ, მაგრამ მალე დასრულდება სამუშაოები და განახლებულ მუზეუმში კვლავ გავმართავთ კულტურულ ღონისძიებებს, ვიზიტიორებს ჩვენი ყურადღება არ მოაკლდება. მადლიერება მინდა გამოვხატო აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურების მიმართ... მათი მეოხებით ჩვენს რეგიონს კულტურის სათანადო დონის დაწესებულება დაამშვენებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუზეუმში მოეწყობა ზაზა ხალვაშის „კინოსახლი“, დამთვალიერებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაეცნონ მის უნიკალურ კინოფილმებს, საერთოდ, მის შემოქმედებას. მიყვარს სიცოცხლე, ბუნება, ადამიანები, ახალგაზრდები. სწორედ ამ სიყვარულმა გადამადგმევინა ნაბიჯი, რომლითაც ნამდვილად ვამაყობ: - ჩემი საკარმიდამო დავთმე და ამ ადგილას აშენდა სკოლა. მეამაყება ისიც, რომ სასკოლო ბიბლიოთეკას ჩემს გამოცდილებასა და სიყვარულს არ ვაკლებდი. დიახ, სიყვარულს ვაგროვებდი და სხვებსაც ვუზიარებდი. ეს მაძლიერებდა მეც და ჩემ ირგვლივ მყოფებსაც. ცხადია, ცხოვრებაში ყველაფერი ია-ვარდებით არაა მიფენილი, ადამიანს უამრავი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა უწევს, გამონაკლისი არც მე ვიყავი, მაგრამ რწმენა უფლისა და სიცოცხლის სიყვარული ძალას მმატებდა, იმედით განმაწყობდა უკეთესი მერმისისათვის. ხშირად მეკითხებიან, რა არის შენი წარმატებისა და დაუღლელობის საიდუმლოო. რა არის? უბრალოდ, მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ, მიყვარს ადამიანები, ბუნება, სიცოცხლე, მინდა, ყველა დავლოცო და ასე დავაკვალიანო - უბრალოდ, გიყვარდეთ ერთმანეთი!

როგორ მოვუაროთ კანს ზამთარში?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ზამთარში იკლებს ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, რაც ჩვენს კანზე უარყოფითად აისახება - აშრობს მას და აღიზიანებს. შენობაში ირთვება გათბობა, რაც სხეულიდან უფრო მეტი ტენის აორთქლებას უწყობს ხელს. ამ დროს ზოგს მშრალი, მქავანა გამონაყარი უჩნდება, რომელსაც ზამთრის გამონაყარს უწოდებენ

ცნობილია, რომ კანი ადამიანის შიდა და გარე სამყაროების გამყოფი ერთგვარი ბარიერია, გვიცავს მიკროორგანიზმებისგან, ულტრაიისფერი სხივებისგან, ალერგენებისგან, სიცივისგან, ე. წ. ზამთრის გამონაყარისთვის დამახასიათებელია კანის განსაზღვრული უბნის სიწითლე, შეშუპება და აქერცვლა, ზოგჯერ ახლავს ქავილი, მგრძნობელობის მომატება, ზოგიერთ უბანზე წყლულებისა და ბურცობების გაჩენა. ზამთრის გამონაყარი სხეულის ნებისმიერ უბანზე შეიძლება გაჩნდეს, თუმცა ყველაზე ხშირია მტევნებზე, მკლავებსა და ფეხებზე. იგი ნებისმიერ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს, მით უმეტეს, თუ ბევრ დროს ატარებს გარეთ კანის სათანადო დაცვის გარეშე. რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ეგზემა, ფსორიაზი, როზაცეა, კანის ალერგია, სტრესი, დეჰიდრატაცია, მომატებული მგრძნობელობა კოსმეტიკურ და სხეულის მოვლის საშუალებებზე.

კანის გარეთა შრე შეიცავს დამცავ ფენას, რომელიც ბუნებრივი ცხიმისა და კანის მკვდარი უჯრედებისგან შედგება, კანს ტენიანობას, სირბილესა და სიგლუვეს უნარჩუნებს. ძალიან დაბალი ტემპერატურა, მცირე ტენიანობა და ძლიერი ქარი კანს ამ ფენას აცლის, შენობაში ჩართული გამათბობელი და ცხელი შხაპი კი მას აღდგენის საშუალებას არ აძლევს. ამიტომაც ზამთარში უფრო ხშირია კანის სიმშრალე, ქავილი და გაღიზიანება.

ზამთრის გამონაყარი შესაძლოა მზის დამწვრობითაც იყოს განპირობებული - ულტრაიისფერი სხივები ზამთარშიც არ კარგავს ძალას. თოვლი ულტრაიისფერი სხივების 80%-ს ირეკლავს და მათი ზემოქმედება ორჯერ ძლიერია. სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება სხივების ინტენსივობა, რაც უნდა გაითვალისწინონ სამთო სპორტის მოყვარულებმა.

ხელშემწყობ მიზეზებს შორისაა ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები, სტრესი, სისუსტე... ზამთრის სიცივე კანის ზოგიერთ დაავადებასაც ამწვავებს. ასეთებია:

დერმატიტი - კანის ანთებითი დაავადება, რომელიც ხშირად მშრალი, მქავანა ლაქებით ან შეშუპებით და სიწითლით ვლინდება. მის განვითარებას ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტი, ალერგია, ინფექცია...

როზაცეა - კანის ბაქტერიული ინფექცია, რომელიც წვრილ, მოწითალო, ამობურცულ გამონაყარს იწვევს.

სიცივის ურტიკარია - ცივ ჰაერთან ან წყალთან კონტაქტი შეშუპებულ, მქავანა, ჭინჭრის ნასუსხის მსგავს გამონაყარს აჩენს, რომელიც 1-2 საათში თავისთავად გაივლის.

ფსორიაზი - მისთვის დამახასიათებელია კანზე წითელი მქავანა, ქერცლოვანი ლაქების გაჩენა. მისი გამწვავება შეუძლია სტრესს, თამბაქოს, ინფექციას, ცივ და მშრალ ამინდს.

მკურნალობა

მკურნალობის მიზანი კანის ტენიანობის აღდგენა და გაღიზიანების ჩაცხრობაა. ამისათვის გამოიყენება დამატენიანებლები, ზეთები და კრემები. შედეგიანია ცხოვრების სტილის შეცვლა - კანის დაავადებების გამწვავებისას დერმატოლოგი ნიშნავს შესაბამის მკურნალობას, მალამოებს.

როგორ ავიცილოთ კანის პროგლემები?

შხაპის შემდეგ დამატენიანებელი წაისვით, უმჯობესია შარდოვანას და რძემჟავას შემცველი ნაწარმი. მგრძნობიარე კანისთვის უმჯობესია უარომატო კანის მოვლის საშუალებების გამოყენება, ასევე, ვაზელინი, რომელიც კანზე ქმნის ერთგვარ დამცავ ბარიერს და აკავებს ტენს.

მშრალი, გაუხეშებული კანისთვის სასურველია ალოე ვერას გელი, ქოქოსის ზეთი, რომელსაც ანტიბაქტერიული თვისებებიც აქვს და დახეთქილ კანსაც შველის. ეფექტურია ბუნებრივი ზეთები, რამდენადაც მათში შემავალი ნივთიერებები გამოირჩევა ანტიმიკრობული, ანტიანთებითი, ქავილის საწინააღმდეგო თვისებებით, ატენიანებს და აღადგენს კანს. ქოქოსის ზეთში შემავალი ლანოლინი და ლაურის მჟავა აუმჯობესებს კანის ბარიერულ ფუნქციას და აღადგენს დაზიანებულ უბნებს.

გამოიყენეთ ჰაერის დამატენიანებელი, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა დახურული, გამთბარი შენობის პირობებში.

თავი შეიკავეთ მოქავებისგან, რომ კანის მთლიანობა არ დაირღვეს და სისხლდენა არ დაიწყოს. კორტიზონის შემცველი კრემები აცხრობს სიწითლეს, ქავილს და ანთებას.

დიაგნოსტიკის მიზნით გარდა დერმატოლოგთან კონსულტაციისა, ანამნეზისა და ვიზუალური დათვალიერებისა, საჭიროა კანის სინჯი ალერგენებზე, კანის ბიოფსია და ა. შ.

პრევენცია

ატარეთ ბუნებრივი ქსოვილის სამოსი. შინიდან გასვლისას არ დაგავიწყდეთ ქუდი, შარფი, ხელთათმანები, რათა დაგიცვათ ქარისა და სუსხისაგან. დაიბანეთ არა ცხელი, არამედ თბილი წყლით. უპირატესობა მიანიჭეთ ნატურალურ, უარომატო საპნებს, რომლებიც გლიცერინის, თხის რძის, კარაქის, შვრიის ან ზეითუნის ზეთისგან არის დამზადებული, მთაში მზეზე ისარგებლეთ მზისგან დამცავი კრემით, რომლის დამცავი ფაქტორი (SPF) 30 ან მეტია. ერიდეთ გამათბობლის სიახლოვეს ყოფნას, რადგან მაღალ ტემპერატურაზე კანი მეტ ტენს კარგავს.

სუს-ი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებულ უკანონო დესტრუქციულ ქმედებებზე განცხადებას ავრცელებს

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებულ უკანონო დესტრუქციულ ქმედებებს.

მიმდინარე წლის იანვარში რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო ე. წ. ბორდერიზაცია და სხვა ტიპის უკანონო აქტივობები განახორციელეს.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევთან და მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენის გასწვრივ არსებულ საოკუპაციო ხაზზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხორციელდება თითოეული უკანონო აქტივობის იდენტიფიცირება.

კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით, ისევე როგორც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ წარმოებული პროვოკაციული აქტივობის თითოეულ ფაქტზე, გააქტიურდა ცხელი ხაზი და ინფორმაცია ეცნობა როგორც საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს, ასევე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს.

ამასთან, აღნიშნული საკითხები, საოკუპაციო ძალების დესტრუქციული აქტივობების სხვა იდენტიფიცირებულ ფაქტებთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მკაცრად იქნა დასმული მიმდინარე წლის 20 იანვარს, ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 104-ე შეხვედრაზე.

ასევე გვსურს განვმარტოთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

უკანონო ე. წ. ბორდერიზაციისა და საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობების თითოეული შემთხვევა წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მწვავე რეაგირების საგანს.

საოკუპაციო ხაზის გასწვრივ განხორციელებული უკანონო აქტივობები აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და ართულებს მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას. აღნიშნულზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას“, - აღნიშნულია სუს-ის განცხადებაში.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/01/22, 19 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მობილიარდე გიორგი დიმიტრაძე საუკეთესოთა შორისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მიუხედავად პანდემიური ფონისა, აჭარის მობილიარდეებისთვის გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. გარდა იმისა, რომ ჩაატარეს ადგილობრივი ჩემპიონატები, ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატებში ბილიარდის სხვადასხვა სახეობაში და მათ ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ, რომ საქართველოს სამი ჩემპიონატიდან სახეობა „პირამიდაში“ ყველა მოიგეს, ასევე მოიგეს საქართველოს ბილიარდის ფედერაციის გარდამავალი თასიც

ფაქტობრივად, ყველა რესპუბლიკური ტურნირი, რაც საქართველოში კლასიკური პირამიდის მიმართულებით გაიმართა, აჭარის მობილიარდეების გამარჯვებით დამთავრდა. ამავე სახეობაში, გარდა ჩემპიონებისა, ჰყავთ სხვა პრიზიორებიც. საკმაოდ წარმატებულად იასპარეზეს „პულში“, სადაც ვერცხლი და ბრინჯაო დაისაკუთრეს. ყოველივე ამან კი განაპირობა ის, რომ წლის შედეგების მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ ბათუმელი სპორტის ოსტატი, აჭარის ნაკრების წევრი გიორგი დიმიტრაძე წლის საუკეთესო მობილიარდედ დაასახელა. მისი წარმატებები, ასევე აღნიშნა არაოლიმპიურ სახეობათა ორგანიზაციამ, რომელსაც ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი ხელმძღვანელობს და არაოლიმპიურ სახეობებშიც წლის საუკეთესო ათ სპორტსმენს შორის დაასახელა.

როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა **თემურ კახიძემ** გვითხრა, შარშან ჩვენი მობილიარდეები არაერთ მნიშვნელოვან ტურნირში მონაწილეობდნენ. აჭარის ღია ჩემპიონატზე 22-მა სპორტსმენმა

მოიყარა თავი, რაც პანდემიის დროს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. ოთხი მსოფლიო ჩემპიონი ჩამოვიდა, მათ შორის 2021 წლის მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი. ამდენად, ტურნირი საკმაოდ მაღალი დონის და საინტერესოც გამოვიდა. წელს ცოტათი განსხვავებული ტურნირები განსხვავებული მიდგომებით სურთ ჩაატარონ. მარტში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, იმავე თვის ბოლოს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ყირგიზეთში, სადაც ფიქრობენ, რომ აჭარიდანაც იასპარეზონ. სიახლე კი არის ის, რომ მათ დაუკავშირდათ უკრაინის ბილიარდის სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაკთა ასოციაციის ხელმძღვანელი, რომელმაც გამოთქვა სურვილი, 2022 წლის ივლისში ბათუმში ჩაატარონ გასვლითი ტურნირი, სადაც რამდენიმე ისეთი ქართველი მობილიარდეც ითამაშებს, რომლებსაც სამეცნიერო სფეროსთან გარკვეული კავშირი აქვთ. ასეთივე მობილიარდეებისთვის ევროპის ჩემპიონატიც ჩატარდება კიევში. აქაც რამდენიმე ჩვენი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ფედერაციას წელს ბათუმში გეგმურად საერთაშორისო ტურნირი არ აქვს, მაგრამ შეეცდებიან, ტრადიცია არ დაარღვიონ და მაინც ჩაატარონ აჭარის ღია ჩემპიონატი. ჩვენს მობილიარდეებს მიწვევა აქვთ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე, მათ შორის, უკრაინაში, სადაც სამ ეტაპად ჩატარდება უკრაინის ბილიარდის ფედერაციის თასის გათამაშება (ჟიტომირში, ოდესაში, კიევში). ფედერაციის ხელმძღვანელობის სურვილია, ბათუმში მოიწვიონ კვალიფიცირებული მწვრთნელი უცხოეთიდან. გამართონ ორი შეკრება, რათა ბოლოს და ბოლოს გასცდნენ ამ ჩაკეტილ სივრცეს. საქართველოში კი არიან ჩვენი მობილიარდეები საუკეთესონი, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა, ეს ცოტაა, მათ სურთ, კარგი შედეგები ჰქონდეთ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამ დონეზე ჩვენს მობილიარდეებს მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული. მაგალითად, როცა ერთი და იგივე სახეობაში უკრაინელი სპორტსმენი 20-30 ტურნირს თამაშობს წლის განმავლობაში და ჩვენ სამიც კი არ გამოგვდის, ძალიან რთულია რაიმე დიდ შედეგზე საუბარი.

აჭარის ბილიარდის ფედერაციას ასევე შეეხმიანნენ ბალტიისპირეთის მობილიარდეები, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი, რომ ტრადიცია ჩაუყარონ საგუნდო შეხვედრებს. პირველი შეხვედრა, სავარაუდოდ, თებერვალში თბილისში შედგება. ბათუმიდან ორი მობილიარდე იასპარეზებს. საგუნ-

დო შეხვედრებში სხვა ქვეყნებიც მიიღებენ მონაწილეობას. ესეც კარგი პრაქტიკა იქნება ჩვენი მოთამაშებისთვის.

გიორგი დიმიტრაძის გარდა ბათუმში, რა თქმა უნდა, კიდევ არაერთი კარგი მობილიარდე გვყავს, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ გამოცდილი სპორტსმენი ვიქტორ ფიფია, რომელმაც მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. სხვათა შორის, კლასიკურ პირამიდაში ორი ჩემპიონატი გიორგი დიმიტრაძემ მოიგო, ერთი - ვიქტორ ფიფიამ. საქართველოს ჩემპიონატი ხშირად „აჭარის ჩემპიონატად გადაიქცევა“, რადგან პირველი ადგილისთვის ფინალში სწორედ ამ რეგიონის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს.

წელს საქართველოს ჩემპიონატს თელავი უმასპინძლებს თებერვლის მეორე ნახევარში. შედეგებიდან გამომდინარე, აჭარის მობილიარდეთა კვოტა საკმაოდ მაღალია და ფედერაციას უკვე შეუძლია, შვიდი სპორტსმენი წარადგინოს, თუმცა, რა თქმა უნდა, გააჩნია, ესა თუ ის სპორტსმენი როგორ ფორმაში იქნება. თემურ კახიძემ წარმატებულ უფროს მობილიარდეებთან ერთად 10 წლის მოზარდი დაასახელა - ლევან კიკალიშვილი, რომელიც „პულში“ აჭარის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ის საკმაოდ წარმატებულად თამაშობს კლასიკურ პირამიდასაც და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. გამონაკლისის სახით, ფედერაციის ხელმძღვანელობას სურს, მონაწილეობა მიაღებინონ არა მხოლოდ აჭარის, არამედ საქართველოს ჩემპიონატშიც, განსაკუთრებით „პულის“ მიმართულებით. წარმოიდგინეთ, რომ მან საქართველოს ჩემპიონატის („პულში“) ფინალისტ გიორგი დიმიტრაძეს მოუგო ნახევარფინალში და ფინალში გამოცდილ მობილიარდე ნუგზარ თებიძესთან ანგარიშით 5:7 დამარცხდა, რაც ყველასთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

- თუ პანდემიური ფონი შეიცვალა, აქტიურად ავამუშავებთ უფასო საბილიარდო სკოლას. გვაქვს ურთიერთობა რესურსცენტრებთან, მაგრამ სკოლებში ჯერ ვერ შევალთ, ვერ მოვიწვევთ ბავშვებს ამ უფასო სკოლაში. ველოდებით სიტუაციის დამშვიდებას. მალე უფრო კარგი პირობები გვექნება სავარჯიშოდ. საბილიარდე კლუბი „პირამიდა“ (მეპატრონე - თემურ დიმიტრაძე), სადაც ჩვენი მობილიარდეები ვარჯიშობენ, მართალია, კერძო პირისაა, მაგრამ მისგან ძალიან სერიოზული ხელშეწყობა გვაქვს და ამისთვის დიდი მადლობა. აქ ფედერაციის მხოლოდ ერთი მაგიდა დგას, მაგრამ ჩვენი ნაკრების წევრები დღის პირველ ნახევარში ყველა მაგიდაზე შეუზღუდავად ვარჯიშობენ. ახლა ეს საბილიარდე კიდევ უფრო ფართოვდება. მალე მივიღებთ საუკეთესო მაგიდებს და შეგვეძლება კარგი საერთაშორისო ტურნირების დაგეგმვა. რა თქმა უნდა, მადლობა უნდა გადავუხადოთ აჭარის სპორტის დეპარტამენტს (ხელმძღვანელი - ლაშა ჩავლეშვილი), რომლის თანდგომას და ფინანსურ მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობთ - ოფიციალური ღონისძიებების დიდ ნაწილს დეპარტამენტი აფინანსებს. რომ არა „აჭარაბეთის“ გვერდში დგომა, 2021 წელს საერთაშორისო ტურნირს იმ მასშტაბებით, რომლითაც გაიმართა, ვერ ჩავატარებდით. მადლობა ყველას, ვინც გვერდით გვიდგას, - გვითხრა აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ.

ამერიკის სასამართლოში პირველი ეტაპი ნონას სასარგებლოდ დასრულდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

როგორც ცნობილია, ქართველი ლეგენდარული მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის შესახებ 2020 წელს გადაღებულ პოპულარული მინი-სერიალის „ლაზიერის გამბიტი“ დასკვნით ეპიზოდში არასწორი ინფორმაცია გაჟღერდა - თითქოსდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი არასოდეს შეხვედრია მამაკაც მოჭადრაკეებს. ამასთან, ის სერიალში მოხსენიებულია, როგორც რუსი მოჭადრაკე, რაც რეზონანსული დავის საგანი გახდა

ქართველმა მოჭადრაკემ ცნობილ ამერიკულ კომპანია „ნეტფლიქსს“ უჩივლა. სარჩელში აღნიშნულია, რომ „ნეტფლიქსმა“ განზრახ იცრუა, ფაქტები დაამახინჯა. ადვოკატები ცნობილი კომპანიისგან ზარალის ასანაზღაურებლად, სულ მცირე, ხუთ მილიონ დოლარს და სადავო სცენის შესწორებას ითხოვენ.

ჩვენი მოჭადრაკის უფლებებს ქართველი და ამერიკელი იურისტების ჯგუფი (იურიდიული ფირმა BLB) იცავს. ადვოკატები „ნეტფლიქსს“ ფაქტების მიზანმიმართულ დამახინჯებასა და მისი კარიერული წინსვლის დაკნინებაში ადანაშაულებენ. დავა რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. როგორც ამბობენ, სარჩელის მომზადებას წინ უშედეგო მოლაპარაკებები უძღოდა.

გუშინ „ნეტფლიქსის“ წინააღმდეგ ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის სარჩელზე კალიფორნიის შტატის სასამართლოს პირველი შუალედური გადაწყვეტილება გახდა ცნობილი.

„იურიდიული ფირმა BLB საქართველოს ულოცავს ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილის კიდევ ერთ გამარჯვებას: მოსამართლე ვირჯინია ა. ფილიპსმა არ დააკმაყოფილა კინოინდუსტრიის მაგნატ „ნეტფლიქსის“ შუამდგომლობა საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. მოსამართლემ არ გაიზიარა „ნეტფლიქსის“ არგუმენტაცია გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით. გილოცავთ ამ გამარჯვებას“, - ნათქვამია იურიდიული კომპანიის ინფორმაციაში.

შუალედური გადაწყვეტილება მოსამართლე ვირჯინია ა. ფილიპსმა მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტების მოსმენის გა-

რეშე მიიღო.

სასიხარულოა ისიც, რომ ამით ჩვენი ქვეყნის იმიჯიც მაღლდება. ახლა ბევრმა გაიგო იმის შესახებ, რომ ნონა გაფრინდაშვილი საქართველოში მოღვაწე ქართველი მოჭადრაკეა და არა რუსი. ალბათ ისიც უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენ ისეთი მაღალი დონის იურისტები გვყავს, რომელთაც მსოფლიო დონის სასამართლოშიც შეუძლიათ დაიცვან სიმართლე და შეებრძოლონ საკმაოდ გიგანტურ კომპანიებს.

„მე ვარ ნონა გაფრინდაშვილი, ვარ ქართველი“

„ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, დებიუტი მოგებულია. ზოგადად, ცხოვრებაში და, ასევე, სპორტში გამარჯვების მისაღწევად რამდენიმე აუცილებელი პირობა არსებობს: რწმენა, ბრძოლის წყურვილი და ჟინი, პროფესიონალიზმი და აუცილებელი კვალიფიკაცია, გულშემატკივრები და სიმართლე. მე ვიცავ ჩემს განვლილ ცხოვრებას, ეროვნებას და მიღწევებს, რომლებსაც უღირსად შეეხნენ. გულშემატკივრების საოცარ მხარდაჭერას მთელი ცხოვრება ვგრძნობდი. პროფესიონალიზმი ამ შემთხვევაში ჩემი ქართველი და ამერიკელი ადვოკატების უძლიერეს გუნდში აისახა, რომლებმაც საოცარი სამუშაო გასწიეს. მადლობა ამერიკულ სასამართლოს, რომელმაც ძალზე კვალიფიციურად და სამართლიანად შეაფასა არსებული მოცემულობა. გამარჯვების წყურვილი და ბრძოლის ჟინი არასოდეს გამნელებია. ახლაც ღრმად მწამს, რომ ჩემს გუნდთან და ყველა ჩემს გულშემატკივართან ერთად საბოლოო გამარჯვებამდე მივალთ, რადგანაც სიმართლე ჩვენს მხარესაა და ეს დღეს მგონი, მთელი სამყაროსთვის ცხადია. დიახ, მე ვარ ნონა გაფრინდაშვილი, ვარ ქართველი. დიახ, მთელი კარიერის მანძილზე მე ვეთამაშებოდი მამაკაც მოჭადრაკეებს და ხშირად ვამარცხებდი მათ, ამიტომაც მერგო პატივი, გავმხდარიყავი პირველი ქალი დიდოსტატი მამაკაცებს შორის. უღრმეს მადლობას ვუხდი უამრავ ადამიანს საქართველოში და მთელ მსოფლიოში, ვინც მე მხარდაჭერა და თანადგომა გამომიცხადა. ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე გრძელდება“.